ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წევრების:

ირაკლი ნადირაძის

მარიკა დათუკიშვილის

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის

ლილე ლიპარტელიანის

ლევან ხაბეიშვილის

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

2018 წ.

31 ოქტომბერი

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებით ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარტიული სიით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული წევრების მიერ შექმნილია **ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''** შემდეგი შემადგენლობით:

1. **ირაკლი ნადირაძე** - ფრაქციის თავმჯდომარე;
2. **მარიკა დათუკიშვილი** -ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ლევან ხაბეიშვილი;**
4. **ლილე ლიპარტელიანი;**
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი;**

ფრაქციის წევრები გაერთიანებულნი არიან საკრებულოს შემდეგ კომისიებში

1. **ირაკლი ნადირაძე**
   - სატრანსპორტო საკითხთა კომისია
   - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2. **მარიკა დათუკიშვილი**
   - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
   - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

3. **ლევან ხაბეიშვილი**
   - სარევიზიო კომისია
   - გარემოს დაცვის კომისია

4. **ლილე ლიპარტელიანი**
   - ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
   - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი**
   - განათლებისა და კულტურის კომისია
   - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

გარდა საკრებულოს სხდომების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა ფრაქციის წევრები აქტიურად ახორციელებენ ამომრჩევლების მიღებას როგორც საკრებულოში, ასევე საკრებულოს გარეთ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებში, მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციის არც ერთი წევრი არ არის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი. ამგვარი შეხვედრები გამოიყენება როგორც ფრაქციის, ისე მთლიანად საკრებულოს და მუნიციპალიტეტის სხვა ორგანოების მუშაობაზე ამომრჩევლების ინფორმირებისთვის, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობის საკითხებზე უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე მეტი ინფორმაციის მიწოდებისთვის.
საკრებულოს წევრების მიერ აქტიურად გამოიყენება ამომრჩეველთა შეტყობინების საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გასვლის პრაქტიკა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მდგომარეობის და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მოქალაქეთა უფლებების შესწავლის მიზნით.
ფრაქციის წევრთა მუშაობის საჯაროობის უზრუნველსაყოფად ხშირად გამოიყენება ბრიფინგები და სოციალური ქსელები, შეხვედრის ადგილებიდან პირდაპირი ეთერის ჩართვის გზით.

ფრაქცია აქტიურად მიმართავს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი/თანამდებობის პირებისადმი, კითხვით მიმართვის საშუალებას, თუმცა ამ პირებისგან ხშირად ადგილი აქვს ინფორმაციის გაუცემლობას ან ფრაქციის ისეთი უფლების დარღვევას როგორიცაა თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ან/და თბილისის მერის მოადგილეების მხრიდან ფრაქციის სხდომაზე დასწრების ვალდებულების უგულვებელყოფის არაერთი ფაქტი:

1) 5 თებერვალი - თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტისა და პროექტის მიღების პროცესთან დაკავშირებით;

2) 5 თებერვალი - ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტისა და პროექტის მიღების პროცესთან დაკავშირებით;

3) 26 თებერვალი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე თბილისის ბიბლიოთეკების ფუნქციონირებასა და პერსონალთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;

4) 26 თებერვალი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე თბილისის ბიბლიოთეკების ფუნქციონირებასა და პერსონალთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;

5) 5 მარტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ბოლოთაშვილი არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე დეველოპერული კომპანია ,,სვეტი ჯგუფი''-ს ობიექტების სამშენებლო სამუშაოების შეჩერებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;

6) 12 მარტი - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე არ გამოცხადდა ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემების დ სხვა მიმდინარე საკითხების განსახილველად;

7) 12 მარტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემების და სხვა მიმდინარე საკითხების განსახილველად;

8) 13 მარტი იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე. დღის წესრიგი იყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა და იურიდიული საქალაქო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურის უფროსისგან ინფორმაციის მიღება;

9) 16 მარტი - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე. დღის წესრიგს წარმოადგენდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა, საქალაქო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურის უფროსისგან ინფორმაციის მიღება;

10) 19 მარტი - შპს ,, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის'' გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე ,,სი-ტი პარკთან'' გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტობრივ და სამართლებრივი გარემოებებთან დაკავშირებით;

11) 19 მარტი იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე ,,სი-ტი პარკთან'' გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტობრივ და სამართლებრივი გარემოებებთან დაკავშირებით;

12) 19 მარტი-სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე არ გამოცხადდა თბილისის საკრებულოში ფრაქციის ,,ნაციონალური მოძრაობა'' მიერ დაგეგმილ სხდომაზე ,,სი-ტი პარკთან'' გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტობრივ და სამართლებრივი გარემოებებთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 30 იანვარს მეტროსადგურში ,,ვარკეთილი'' ავარიული შემთხვევის გამო, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო მეტროპოლიტენით მოსარგებლე მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ფრაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს სხდომაზე მომხდარიყო ამ საგანგაშო მდგომარეობის განხილვა და გამოიყენა რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება, თუმცა საკრებულოს პარტიული უმრავლესობის მხრიდან მოხდა ამ სხდომის ბოიკოტირება და კვორუმის არქონის გამო სხდომა ვერ შედგა, თუმცა ავარიული შემთვევით დაზარალებულ პირებს მაინც მიეცათ საშუალება საკრებულოს ოპოზიციონერი წევრებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის გაეზიარებინათ ფაქტები მათი მდგომარეობის შესახებ.

02 მაისს ფრაქციის წევრებმა წამოაყენეს მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭების საკითხი, იმის გათვალისწინებით, რომ არჩილ ტატუნაშვილი ეწამა, სიცოცხლე შესწირა საქართველოს, მის ეროვნულ ინეტერესებს, ტერიტორიული მთლიანობის იდეას, რომ არჩილ ტატუნაშვილს მსხვერპლი საჭიროებს დაფასებას და სწორედ მოსკოვის გამზირს უნდა ერქვას არჩილ ტატუნაშვილის სახელი, ოკუპანტი, აგრესორი სახლმწიფოს მიერ მოკლული და ნაწამები თავისუფალი საქართველოს გმირი ჯარისკაცი, რომ საქართველოში, არ უნდა არსებობდეს ოკუპანტი ქვეყნის დედაქალაქის სახელობის გამზირი, როგორც ოკუპაციის შეგუების სიმბოლო. აღნიშნული საკითხი როგორც ფრაქციის სხვა წინადადები არ იქნა გაზიარებული საკრებულოს პარტიული უმრავლესობის მიერ.

ფრაქციის წევრთა მიერ წამოყენებული წინადადებებზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თაობაზე, 1989 წლის, 9 აპრილს დაზარალებულთათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან შეღავათებისა და ფულადი დახმარების დაწესების შესახებ, ვერეს ხეობაში სტიქიით დაზარალებულთა იმ პირთა დახმარებაზე რომლებსაც დღემდე არ მიუღიათ კომპენსაცია, საკრებულოს პარტიული უმრავლესობის ან/და თბილისის მერიის მიერ სრული იგნორირება ხორციელდება, თბილისის მერმა საკრებულოს სხდომაზე ღიად განაცხადა რომ მას არც კი წაუკითხავს ფრაქციის მიერ გაგზავნილი მოსაზრება ბიუჯეტის თაობაზე.

ფრაქციის მიერ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირება საკრებულოში მიმდინარე პრობლემებზე, მიმდინარე წლის მარტში საკრებულოში მოწვეულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ფრაქციამ წარუდგინა პრეზენტაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ხელშეშლის ფაქტებზე.

თბილისის მერიის მხრიიდან თბილისის საკრებულოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარტიული სიით არჩეული წევრების, ფრაქციის უფლებების უგულვებლყოფაზე და ადგილობრივი დემოკრატიის დაცვის საკითხებზე აქტიური კომუნიკაცია არსებობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესთან.

ფრაქცია აგრძელებს აქტიურ მუშაობას, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული მუნიციპალიტეტის ორგანოების მუშაობაზე, თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაზე, მოქალაქეთა ინტერესების დაცვაზე.

საკრებულოს წევრები:

ირაკლი ნადირაძე

მარიკა დათუკიშვილი

ლევან ხაბეიშვილი

ლილე ლიპარტელიანი

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი